



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### განმანათლებლობა

განმანათლებლობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა ევროპის ფილოსოფიასა და კულტურის ისტორიაში. ტერმ. „გ.“ პირველად გამოიყენეს ვოლტერმა და ი. გ. ჰერდერიმ. ცნობილი განმანათლებლები იყვნენ ვოლტერი, ჟ. ჟ. რუსო, შ. ლ. მონტესკიე, დ'ალამბერი, დ. დიდრო, პ. ა. ჰოლბახი, ი. გ. ჰერდერი, გ. ე. ლესინგი, ფ. შილერი, ი. ვ. გოეთე, ბ. ფრანკლინი, ტ. პეინი, ს. დესნიცკი, ი. პ. კობელსკი, ხ. აბოვიანი, აბაი კუნანბაევი და სხვ. განმანათლებელთა აზრით, ადამიანის წინაშე მდგომი ყოველი პრობლემა საღი ადამიანური გონების საფუძველზე შეიძლება აიხსნას, აღმოჩენილი ჭეშმარიტების ნათელი და მისაწვდომი გადმოცემა საკმარისია მის განსახორციელებლად. დრომოჭმული საბ. წყობილება, ბნეობა, პოლიტიკა და ყოფა შესაძლებელია შეიცვალოს სიკეთისა და სამართლიანობის იდეებისა და მეცნ. ცოდნის გავრცელებით; ეს ცვლილებები უნდა მოხდეს მშვიდობიანი რეფორმების მეშვეობით.

ქართ. გ-მ განიცადა მნიშვნელოვანი გავლენა ფრანგ. გ-ისა (დავით რექტორი, დავით ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილი, ამილახვარი ალექსანდრე|ალექსანდრე ამილახვარი), იგრძნობოდა გერმ. გ-ის გავლენაც (ანტონ I კათოლიკოსი). სოლომონ დოდაშვილმა ლოგიკის ისტორიის ასპექტით გაიაზრა განმანათლებელთა როლი და მნიშვნელობა. თანამედროვე ქართ. ფილოსოფიის გამოჩენილ წარმომადგენლებს (ნუსუბიძე შალვაშ. ნუსუბიძე, მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე) არაერთხელ დაუმუშავებიათ ევრ. გ-ის მდიდარი მემკვიდრეობა.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ლ., ვოლტერიანობა საქართველოში, ტფ., 1933;  
ბ ლ ა გ ი ძ ე კ., XVIII ს. ფრანგული მატერიალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1977; ბ უ ა ძ ე თ., განმანათლებლობა და ქრისტიანობა, „გული გონიერი“, 2015, №11;  
გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი მ., ქართული განმანათლებლობა, თბ., 1966;

გოგობერიძე მ., რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტ. 2- მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე, თბ., 1971; კანტონი., რა არის განმანათლებლობა?, თარგმ., რედ. და ბოლოსიტყვა გ. ზედანიასო, თბ., 2012; მორისონ., განმანათლებლობა და რევოლუცია, თარგმ. ე. სუმბათაშვილისა. თბ., 2013; ცანავარ., განმანათლებლობა ქართულ ლიტერატურაში, წგ.: ქართული ლიტერატურა, ისტორია საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების პრიზმაში, ნაწ. 1, თბ., 2016., Грузинское просветительство, Тб., 1977; Дanelia C., Опыт исследования теории нравственности Гельвеция, Тфл., 1922.

---